

# საბა


სამართლოს კათოლიკთა  
მოცელთვისრი მემკე

THE MONTHLY BULLETIN OF  
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N4 (328) | 2023



ქრისტე აღმგა!



ეპისკოպოსის სახლდმომა მილოცვა.....	3
რედაქტორის მვერდი ...	4-5
კათოლიკი ეკლესია მსოფლიოში.....	6-7
ჩვენი ეკლესია.....	8-12
ჩანართი: უნივერსიტეტის პირველი ოცი წლის იუბილე .....	I-IV
ლითურგია.....	13-14
ინტერვიუ.....	15-16
ხელოვნება და სულიერება .....	17
ერისთავის თანამედროვე მოწევი.....	18-19
კათოლიკური კულინარია .....	20
ახალგაზრდული მვერდი .....	21
საბავშვო მვერდი.....	22
ინფორმაცია.....	22-23

## კარილი

- 1-2** აპრილი - ახალგაზრდული შეხვედრა წეროვანში
- 2** აპრილი - ბზობა
- 5** აპრილი - დიდი ოთხშაბათი, მირონის კურთხევა  
საკათედრო ტაძარში
- 6** აპრილი - დიდი ხუთშაბათი, უფლის სერობის  
წირვა
- 7** აპრილი - წითელი პარასკევი, მძიმე მარხვა,  
შესაწირი წმ. მიწისთვის
- 8** აპრილი - დიდი შაბათი, საპასექო ღამისთვევა
- 9** აპრილი - აღდგომა, ძმა დემეტრე თბილელის  
გახსენება (+1321)
- 16** აპრილი - პასექის მეორე კვირა, ივლიტის  
საკრებულოს დღეობა
- 18-20** აპრილი - მღვდლების, დიაკვნებისა და  
ბერმონაზვნების შეხვედრა წეროვანში
- 22** აპრილი - მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება  
(+1943)
- 25** აპრილი - წმ. მარკოზ მახარებელი
- 29** აპრილი - წმ. ეკატერინე სიენელი, ევროპის  
მფარველი
- 30** აპრილი - პასექის მე-4 კვირადღე, ლოცვა  
მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის

შურნალ „საბას“ რედაქცია გილოცავთ  
აღდგომის ბრძყინვალე დღესასწაულს!

გისურვებთ სიმტკიცეს რწმენაში!

აღდგომის რწმენამ გაგაძლიეროთ და  
მოგანიჭოთ სისარული და სულიერი  
სიმჟადე. უფალი ვარავდეს თითოეულ  
თქვენგანს!

## აღდგომა - ბერძნი, რომელიც თავიზად იპყრობს სამყაროს

ქვირფასო დაწო და ძმანო,  
ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ვინმეს  
რომ შეეთხბა იესოს აღდგომის ამბავი,  
აუცილებლად წარმოაჩენდა, თუ როგორ  
გამოეცხადა დოინჯშემორტყმული ტრი-  
უმფატორი თავის მტრებს, სინედრიონს,  
ყველა მდევნელს... განა ამაზე უკეთესი  
შემთხვევა მიეცემოდა შურისძიებისათვის?  
ცდუნება ჯავრის ამოსაყრელად, სხვისი  
ძლევის სურვილი ადამიანისათვის ძალზე  
ნაცხობი გრძნობაა: ვინმე უსამართლოდ  
მოგვექცევა და ჩვენც ერთი სული გვაქვს,  
სამაგიერო მივაგოთ მას, თითქოს ამით  
რამე გამოსწორდება, ან აგვინაზღაურდე-  
ბა. იოლია ამის ნახვა: დღევანდელ პოლი-  
ტიკასთან დაკავშირებული ფაქტები ამას  
ყოველდღიურად გვიჩვენებს, ასევე, ბევ-  
რი ჩვენი ყოველდღიური რეაქცია ამგვარ  
განცდასაც შეიცავს: „დამაცადოს, თუ არ  
ვაზღვევინე!... არადა, აღდგომა როდია  
რევანში, სიძლიერის მტკიცებულება...  
იესო განა იძულებით თავს ახვევს ვინმეს  
საკუთარ თავს? იგი მორიდებით დგას სა-  
მარხის გვერდით და ხვდება ყველას, ვისაც  
იგი უყვარს. იესო შედის ჩაკეტილ კარში,  
მაგრამ როდი ამტვრევს მას; ფაქიზად  
დაემგზავრება მათ, ვინც იმედგაცრუე-  
ბული ადგას გზას და გულს აღუგზნებს,  
მაგრამ თითქმის არც კი ეცნაურება. ჩვენ  
გვიყვარს ყოვლისშემძლეობით გამოწვეუ-  
ლი როშვა, უფალს კი, სწორედ იმიტომ,  
რომ უფალია, უყვარს თავმდაბლობის  
უგუნურება, მაშინაც, როცა სიკვდილზე  
გამარჯვების წუთი დაუდგა. როგორი გაკვეთილია  
ჩვენთვის, ვისაც გვსურს და გვმართებს, ვიყოთ  
აღდგომის მოწმენი!

აღდგომის კარგი და მორიდებული ნათელი არ  
უთავსდება იმ კაშკაშა შუქს, რომელსაც ჩვენ ვამ-  
ჯობინებთ ხოლმე. აღდგომის მოწმეები ხმამაღლა  
არ ლაპარაკობენ, არ ყვირიან, არ არიან გატაცე-  
ბულნი ტრიუმფალიზმით, არამედ გრძნობენ, რომ  
გარკვეული მოკრძალებითა და თავმდაბლობით  
უნდა გადასცენ თავიანთი სიხარული.

„მე ვიხილე უფალი“ - ეუბნება მარიამ მაგდა-  
ლელი მოწაფეებს. ის არ ამატებს ხმამაღლ და  
თავხედურ სიტყვებს, არამედ ოდენ: „მე ვიხილე



უფალი!“. მასში ლაპარაკობდა მის თვალთა ნათე-  
ლი და გაოგნება, რითაც სავსე ჰქონდა გული. ახლა  
ჩვენც შეგვიძლია გავიგოთ, რომელ ხაზს უნდა მი-  
ვყვეთ, როცა გვინდა ვისაუბროთ საიდუმლოზე,  
რომელიც ჩვენი რწმენის გულშია. რწმენა უნდა  
გადაიცეს არა დასარწმუნებლად, არამედ განძის  
გასაწვდომად! საიდუმლო განძი, ჩვენი რწმენის  
შუაგული არის ზუსტად მკვდარი და აღმდგარი  
იესო ქრისტე! შეგვიძლია სიხარულით ვთქვათ: „მე  
ვიხილე უფალი“? მაშ, ასევე შეგვიძლია ვთქვათ:  
„ქრისტე აღდგა — ის ნამდვილად აღდგა!“

+ თუმცვე პაზომი  
ლათიკ აკადემიკოსთა კავახსის  
სამოციკლო ადმინისტრაციი

## ლირს პი მიმრაცხია?



ბევრი მეცნიერი უწოდებს ამჟამინდელ ეპოქას „მიგრაციის ხანას“. გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებამ და მზარდმა საერთაშორისო თანამშრომლობამ განაპირობა უფრო ინტენსიური მიგრაციული ნაკადები მსოფლიო მასშტაბით. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მიგრაციის ზრდა შეინიშნება მსოფლიოს ყველა მხარეში, განსაკუთრებით აზიასა და ევროპაში. 2022 წელს ყოველი ოცდათო ადამიანიდან ერთმა დატოვა მშობლიური მხარე და საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქვეყანაში. იმავე წელს, ომის, ძალადობის, დევნისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო გაქცეული ადამიანების რაოდენობა, მიუხედავად პანდემიისა, შეადგენდა თითქმის 82,4 მილიონს (ეს რიცხვი სულ რაღაც ათ წელიწადში გაორმაგდა), მათ შორის იყვნენ ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე არასრულწლოვანები; ადამიანები, რომლებიც გაურბიან ომს, როგორც, მაგალითად, სირიაში ან უკრაინაში; გარბიან კლიმატური კრიზისის გამო, მაგალითად, აფრიკის რქის ქვეყნებში, ან შეიარაღებული ჯგუფების ძალადობის გამო, როგორც სომალში. მიზეზი, რაც უბიძგებს ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ემიგრაციისკენ, თუნდაც სიცოცხლის ფასად (2014-2022 წლებში თითქმის ოცდახუთი ათასი ემიგრანტი დაიღუპა და დაი-

მამა გაპრიელე  
პრაგანტინი CSS

სტიგმატელი, ეპისკოპოსის  
ვიკარი ეპუხენიზმისა  
და კულტურის დარგში,  
ნინამძღვარი (ქუთაისი,  
ქათუმი, ოზურგეთი)



კარგა ხმელთაშუა ზღვაში ევროპაში გაქცევის მცდელობისას), მრავალია.

მიგრაციული პროცესები გარდაუვალია ისეთი განვითარებადი ქვეყნებისათვის, როგორიცაა საქართველო, სადაც ადამიანთა უმრავლესობა ვერ ახდენს თვითორებალიზაციას და ვერ ახერხებს დასაქმებას სასურველი პროფესიით, პირობებით თუ ანაზღაურებით. დღესდღეობით საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 1.447.2 მილიონი კაცია, მათ შორის დასაქმებულია 1.129.7 მილიონი, ხოლო 317.5 ათასი უმუშევარია. სწორედ ასეთი მაჩვენებლების გამო ხდება მასობრივი ემიგრაცია საქართველოდან.

მავანმა „იქადაგა“, ქართველები ემიგრაციაში იმიტომ მიდიან, რომ არსებობს ამის შესაძლებლობა, თითქოს ამით იმის თქმა სურდა, ვიზები რომ არ

ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა; რათა დავრწმუნდეთ, თუ რამდენად ზედაპირულია ამგვარი ფიქრი, საკმარისი იქნება, საქართველოს აეროპორტების მოსაცდელ დარბაზებში გავესაუბროთ უცხოეთში მიმავალ ან ახლად დაბრუნებულ ადამიანებს, რომელთა შერისაც, არცთუ იშვიათად, არიან არც ისე ახალგაზრდები და ფიზიკურად ძლიერნი; მათი პასუხი უთუოდ ასეთი იქნებოდა: „საქართველოში არასაკმარისია სამუშაო ადგილები“, ან „თუკი ადამიანი მუშაობს, დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნებთან შედარებით, ხელფასი ძალიან შეუსაბამოა“; და არა იმიტომ, რომ ვიზებია...

ფაქტობრივად, ხალხი მაშინაც ცდილობდა ემიგრაციაში წასვლას, როცა ვიზები არ იყო და სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, ოღონდ სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასულიყვნენ! თუკი სურვილი აქვთ, ადამიანები ემიგრაციაში არ წავიდნენ, - რაც, როგორც ჩანს, არ აინტერესებს მთავრობას, პარლამენტს, პარტიებს, - უნდა შეიქმნას ნორმალურად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები; როგორც ამბობენ, მუშაობენ სამუშაო ადგილების შექმნაზე; ცხადია, ტურიზმი, მშენებლობა, საგზაო ქსელი, უნივერსიტეტები უცხოელი სტუდენტების მისაღებად - ეს ყველაფერი დიდი შესაძლებლობებია, მაგრამ, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის იმ მექანიზმის დასანერგად, რამაც უნდა შექმნას სამუშაო და მოქალაქეთა კეთილდღეობა, მაგრამ, უპირველესად, ცხოვრების ის ხარისხი, რომელსაც შეუძლია ემიგრაციის შეჩერება ან სხვა მიზნის დასახვა.

სანამ პარლამენტს წარუდგენენ ისეთ კანონმდებლობას, რომელიც სხვა ქვეყნების და სხვა

წარსულის საეჭვო გამოცდილებას ეყრდნობა, სჯობს, პარლამენტი და მთავრობა სერიოზულად დაფიქრდეს ამაზე. თუ სხვადასხვა ეკონომიკურ ანგარიშში კმაყოფილებით ვკითხულობთ, რომ საქართველოში უცხოეთიდან შემოსული ფული გაიზარდა, ამავდროულად, არ ვაღიარებთ, რომ ეს სწორედ საზღვარგარეთ დასაქმებული ადამიანების შრომის წყალობით ხდება, რომ ოჯახებს ან მას, რაც ქართული ოჯახიდან დარჩა, ამ ფულით ნორმალურად ცხოვრება შეუძლია; სახელმწიფოსთვის იოლია არ იფიქროს იმაზე, თუ როგორ მოაგვაროს სამუშაო ადგილების დეფიციტი და, ამავდროულად, თვითკმაყოფილი იყოს ამ შემოსავლებით: ორი კურდელი ერთი გასროლით, როგორც ნათქვამია ანდაზაში! რამდენ ხანს შეიძლება ეს გაგრძელდეს? თუ ემიგრაციას შეუძლია სარგებელიც მოიტანოს სხვადასხვა სფეროში - კულტურული გაცვლით, ახალი ნაცონბებით, ახალი საქმიანობით და ამის საჭიროებაც არსებობს, ეს მანამდე არ იქნება ადვილი, ვიდრე ზოგიერთი „სულიერი მამისგან“ ამგვარ რჩევას ისმენენ: „არ იმეგობრო კათოლიკებთან“, როგორც ერთმა პროფესორმა გამიმხილა, ვინც იტალიურს უფასოდ ასწავლის ბევრ ქართველ ქალბატონს. და, რა თქმა უნდა, ვერც სამშობლოს სადღეგრძელოები, სიამაყით წარმოთქმული ფრაზები ქართული კულტურის სიდიადესა და უნიკალურობაზე, რაზე საუბარიც ასე იოლია, ვერ გადაარჩენს საქართველოს, თუნდაც ეს პრემიერმინისტრების მიერ იყოს წარმოთქმული საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე!



# კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულან ავალიშვილი

## პაპ ფრანცის პაველ ელსაყდრების მეთე წლისთავი



ათი წლის წინ, 2013 წლის 13 მარტს, პაპმა ფრანცის კემ თავისი მოსაყდრეობა თავმდაბლობისა და მორჩილების უსტებით დაიწყო: კარდინალების მოლოცვებს, ტრადიციისამებრ, პონტიფიცების ტახტზე კი არ იღებდა, არამედ იდგა; წმინდა პეტრეს ბაზილიკის აივანზე გამოვიდა არა თეთრი ანაფორით მოსილი და არამედ მენამულით; მეორე დღეს თავად მივიდა სასტუმროში, სადაც კონკლავის დროს ცხოვრობდა, რათა თავისი ნივთები წამოელო და მომსახურე პერსონალისთვის მადლობა გადაეხადა; უარი თქვა სამოციქულო სასახლეში ცხოვრებაზე და წმინდა მართას სახლში დასახლდა. ასეთივე მოკრძალებული იყო ფრანცის კემის აღსაყდრების იუბილეც. 13 მარტს უწმიდესმა ფრანცის კემ რომში მცხოვრებ კარდინალებთან ერთად წმინდა მართას სახლის სამლოცველოში წირვა აღავლინა.

## ნაკადემიური შვებულება უფლის შეცნობისთვის

ირლანდიაში, უოტერფორდის ეპარქიაში მოქმედი „წმინდა ოჯახის მისია“ 18-დან 30 წლამდე კათოლიკებს სპეციალურ ცხრათვიან პროგრამას სთავაზობს. ახალგაზრდები 9 თვეს გლენკომერას ცენტრში გაატარებენ. „პროგრამის მიზანია დავეხმაროთ ახალგაზრდებს შეიცნონ უფალი, შეიცნონ საკუთარი თავი, რათა მათ რწმენაში განმტკიცებულებმა და

თავდაჯერებულებმა შეაბიჯონ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ დღეს ახალგაზრდები უნივერსიტეტების სტუდენტები ხდებიან და გარკვეულ პროფესიას ეუფლებიან, სინამდვილეში კი ვერ გაურკვევიათ, რა სურთ და როგორია მათი მოწოდება“, - ასე განმარტავს პროგრამის მიზანს უოტერფორდის მთავარეპისკოპოსი, ალფონსუს კულინანი. თემის წევრები დროს ლოცვაში, ფიქრში, ერთმანეთთან და მოძღვრებთან ურთიერთობაში ატარებენ, ყოველდღიურად ესწრებიან წირვას და ეზიარებიან. მისის პროგრამა ერთგვარი ტრამპლინია მათვის, ვინც სკოლა დაამთავრა და ჯეროვნად ვერ გარკვეულა, რა სურს ან რა ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში რწმენას.

მისის ოფიციალური საიტი: <https://www.holyfamilymission.ie>

## ყაზახეთი: სიცოცხლის სიწმინდისთვის ლოცვა

19-26 მარტს ყაზახეთში კათოლიკე ეკლესიის ინიციატივით გაიმართა სიცოცხლის დაცვისთვის ლოცვის კვირეული, რომელსაც უზბეკეთის მორწმუნებიც შეუერთდნენ. „ინიციატივის მიზანია ვაჩვენოთ, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე წმინდა და მისი დაცვა ჩასახვის მომენტიდან ბუნებრივ სიკვდილამდე გვმართებს. სიცოცხლის დაცვის მთავარი მოტივი ღმრთის განკაცებაა. ეს ცხადყოფს, რაოდენ დიდია ადამიანის ღირსება. ყოველმა მორწმუნებ მოყვასში ქრისტეს სახე უნდა დაინახოს“, - აღნიშნა კვირეულის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მამა პავლე ბლოკმა.



## პაპი ფრანცისკე პინემათომართში

„პაპი ფრანცისკე: სიტყვის ადამიანი“ (Pope Francis: A Man of His Word), 2018 წ. - გერმანელი რეჟისორის, ვიმ ვენდერსის დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს პაპის სამოციქულო მოგზაურობების, გარიყულთათვის, სოციალური სამართლიანობისთვის მისი ღვაწლის შესახებ.

„ფრანცისკე“ (Francesco), 2020 წ. - ისრაელელი რეჟისორის, ევგენი ეფინეევსკის დოკუმენტი რეჟისორის, ევგენი ეფინეევსკის დოკუმენტი



ტური ფილმი ასევე მოგვითხრობს პაპის სამოციქულო მოგზაურობებზე, გადმოგვცემს მის საუბრებს, რომლებშიც ის ქება ომის, ლტოლვილების, მიგრანტების, რასიზმის, ლგბტ პირთა პრობლემებს.

„გზა“ (In viaggio), 2022 წ. - იტალიური ნარმოშობის ამერიკელი რეჟისორის, ჯანფრანკო როსის დოკუმენტური ფილმი, რომელიც პაპ ფრანცისკეს 35 სამოციქულო მოგზაურობაზე მოგვითხრობს.

„ორი პაპი“ (The Two Popes), 2019 წ. - ბრაზილიელი რეჟისორის, ფერნანდუ მეირელიშის მხატვრული ფილმი. პაპ ბენედიქტე XVI-ისა და კარდინალ ხორხე მარიო ბერგოლიოს წარმოსახვითი საუბრები. მთავარ როლებში: ენტონი ჰოპკინსი და ჯონათან პრაისი.

„თაობის ისტორიები პაპ ფრანცისკესთან ერთად“ (Stories of a Generation – with Pope Francis), 2021 წ. - Netflix-ის მინისერიალი (4 ეპიზოდი: 1. სიყვარული; 2. იმედი; 3. ბრძოლა; 4 საქმე).

## ნინდებული საყდარი ერისთავისა დევნის შესახებ

დღეს მსოფლიოში ყოველი მეშვიდე ქრისტიანი დევნას განიცდის. ამის შესახებ 17 მარტს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის 52-ე სხდომაზე განაცხადა გაეროში წმინდა საყდრის მუდმივმა დამკვირვებელმა, მთავარეპისკოპოსმა ფორტუნატუს ნვაჩუკვუმ. თავის მოხსენებაში მღვდელმთავარმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც, ერთი შეხედვით, დაცულია ტოლერანტულობისა და ინკლუზიურობის პრინციპები, ქრისტიანების შევიწროება სხვა მეთოდებით ხდება, როგორიცაა ცენზურა, აღმსარებლობის საჯაროდ გამოხატვის შეზღუდვა ან აკრძალვა. „აღმსარებლობის თავისუფლება მხოლოდ ლვთისმსახურების აღსრულების ნებართვით არ შემოიფარგლება. მორწმუნეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმოქმედოს თავისი სინდისის თანახმად საზოგადოებრივ სფეროებში და პროფესიულ საქმიანობაში“, - აღნიშნა იერარქმა.

## „პარიზასი“ არ წყვეტს პალესტინის დახმარებას

გერმანიის კარიტასის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელმა, ოლივერ მიულერმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა ავღანეთიდან, ვატიკანის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თაღიბანი არ უნდა იქცეს დაბრკოლებად მილიონობით ავღანელის დახმარებისთვის. „ჩვენი შესაძლებლობები ამ ქვეყანაში საკმაოდ შეზღუდულია. მაგალითად, თითქმის გამორიცხულია ურთულეს სიტუაციაში მყოფ ავღანელ ქალებთან ურთიერთობა და მათვის უშუალო დახმარების განვევა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შემოსვლის უფლება მივიღეთ, უკვე იმედს ბადებს. ისეთი შთაბეჭდილება მაქს, რომ დასავლური სამყარო ავღანეთს, ასე ვთქვათ, ბნელეთის სამეფოდ აღიქვამს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მის მკვიდრთა არჩევანი როდი იყო. ამ ადამიანებს უფრო მეტად სჭირდებათ დახმარება, ვიდრე უწინ“.



## წმიდა წირვა ითალიის ქალაქ ბარიში



2023 წლის 5 მარტს, კვირადღეს, იტალიის ქალაქ ბარიში, წმ. ნიკოლოზის საფლავზე, ამავე წმიდანის სახელობის ტაძრის კრიპტაში, ლათინ კათოლიკუთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ და ნუციუსმა საქართველოში, არქიეპისკოპოსმა უოზე აველინო ბეტენკურმა წმიდა წირვა აღავლინეს ქართულ ენაზე. შემდეგ კი, ამავე ტაძარში, წმიდა ნიკოლოზის საფლავთან, წინამდლვარ მოსე ჭანკვეტაძის მიერ აღვლენილ საკვირაო ლოცვას დაესწრნენ ქართველ მართლმადიდებლებთან ერთად.

„დღევანდელი კვირის ლოცვაზე საქართველოდან განსაკუთრებული სტუმრები ბრძანდებოდნენ ჩვენთან; წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური და კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოში, ჯუზეპე პაზოტო, რაც ძალიან სასიხარულო იყო ჩვენი სამრევლოსთვის, რომელთანაც მათ დიდი მეგობრობა და მხარდაჭერა აკავშირებთ“, — წერია წმიდა ნიკოლოზის სახელობის ქართული სამრევლოს ფეისბუკის გვერდზე.

catholic. ge

## ეკლესიის დღესასწაული არალი

სოფელ არალში, სადაც წმ. იოსების კათოლიკური ტაძარია აღმართული, 18 მარტს ეკლესიის დღესასწაული აღნიშნეს. ეს დღე, საეკლესიო კალენდრის მიხედვით, 19 მარტს, წმ. იოსების დღესასწაულზე აღინიშნება, თუმცა წლევანდელი წელი გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან 19 მარტი კვირადღეს დაემთხვა (კვირადღეს მნიშვნელობა

წმიდანის დღესასწაულს ფარავს); ამიტომ, ტაძრის მოძღვრების გადაწყვეტილებით, ეკლესიის დღესასწაული 18 მარტს აღინიშნა.

საზეიმო წმ. წირვა ვალეს ტაძრის წინამდლვარმა მამა მიხეილ სურმავამ აღავლინა სხვა სასულიერო პირებთან ერთად. ლიტურგიაში მონაწილეობდა წმიდა საყდრის სადესპანოს ახლად დანიშნული

მრჩეველი, ალექსანდრე რაჟინი და თავად დესპანი, არქიეპისკოპოსი უზე აველინო ბეტენჯური, რომელმაც, ქადაგებისას, ყველას გადასცა მოკითხვა პაპ ფრანცისკუსგან და წმ. იოსების ფიგურის შესახებ ისაუბრა: „წმიდა იოსები თითოეული ჩვენგანის დიდი მეოხეა, იგი არის მართალი კაცი, რომლის ცხოვრებაც ღრმად იყო დაკავშირებული ღმერთთან. წმიდა იოსები მორწმუნე ადამიანია, რომელიც სიყვარულით ენდობა ღვთის განგებას. იგი გვაძლევს ყველაზე დიდ და გმირულ მაგალითს ნდობისა და მორჩილებისა. წმიდა იოსები მორჩილი, დამყოლი კაცია, მყისვე პასუხობს ღვთის მითითებებს. ანგელოზის ყოველმა გზავნილმა ძირულად შეცვალა მისი ცხოვრება: იქორწინა, სამშობლოდან

ეგვიპტეში გადაიხვენა, მიატოვა სახლი, სამუშაო, უზრუნველი ცხოვრება... ჩვენც მამაცურად უნდა მივუძღვნათ თავი ჩვენს სამუშაოს, რათა უკეთ ვემსახუროთ ღმერთსა და მოყვასს... წმ. იოსები მშრომელი ხალხის დიდი მეოხეა, ამიტომ ვთხოვთ მას გვიშუამდგომლოს, რათა, მის მსგავსად, ჩვენც თავი მივუძღვნათ ღვთის ნებას“.

ეკლესიის დღესასწაული, ტრადიციულად, არლელ მორწმუნებთან ერთად იზეიმეს ქვეყნის სხვადასხვა სამრევლოდან ჩამოსულმა კათოლიკებმაც.

თავი ფეიერიშვილი



## სულიერი ვართიშები წეროვანში

„მარადუამს იხარეთ უფალში, და კვლავ გეტუვით: იხარეთ“.

17-19 მარტს კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციონმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ წეროვანში სულიერი ვარჯიშები (რეკოლექცია) ჩაატარა. ტრადიციულად, ყოველი წლის დიდმარხვაში, ბზობის დღესასწაულამდე, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო მრევლისთვის სულიერ ვარჯიშებს, იგივე სულიერ წვრთნებს უძლვება. ეს არის შეხვედრების სამდლიანი პროგრამა, რომელში მონაწილეებსაც საშუალება აქვთ, უფრო ღრმად გაეცნონ სახარებას, იფიქრონ ღვთის სი-

ტყვეზე, საკუთარ თავში იპოვონ პასუხები კითხვებზე, რომლებიც რწმენასთან დაკავშირებით აქვთ და განახლებული სულიერებით შეხვდნენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ მხრივ, არც წლევანდელი წელი იყო გამონაკლისი, წეროვნის მომლოცველთა სახლმა სულიერი ვარჯიშების ოცამდე მონაწილეს უმასპინძლა.

შეხვედრისთვის სხვადასხვა სამრევლოდან სხვადასხვა ასაკის ადამიანი შეიკრიბა. მთავარი თემა იყო პავლე მოციქულის წერილი ფილიპელთა მიმართ. ეპისკოპოსმა ისაუბრა წერილის ისტორიაზე, წარმომავლობაზე, მის მნიშვნელობაზე ბიბ-

# ჩვენი ეკლესია

ლიასა და ჩვენს ყოველდღიურობაში. საღამოს, მონაწილეებმა ნახეს ანიმაციური ფილმი პავლე მოციქულის ეპისტოლების შესახებ, შემდეგ კი ფილმი „ბრძოლის ოთახი“, სადაც გადმოცემული იყო ადამიანთა რწმენის, მოთმინების, ერთგულებისა და ბრძოლის არსი.

მეორე დილა, ტრადიციულად, ლოცვით, ერთობლივი საუზმითა და ეპისტოლის განხილვით დაიწყო. ორ ჯგუფად დაყოფილ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ღიად დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება. ამ ყველაფრის უმთავრესი მიზანი სწორედ სულიერი ერთობა იყო მსოფლიო ეკლესიასთან, რომელიც სახარებას ახარებს ყველგან და ყოველთვის. ეპისკოპოსმა ისაუბრა ფილიპეს პოლიტიკურ და სულიერ მდგომარეობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პავლე მოციქულისთვის ფილიპეს ეკლესია, რა როლს ასრულებდა ის სახარების გავრცელებაში და რაოდენ დიდი ნდობა ჰქონდა პავლეს ადგილობრივებისადმი. ყოველი დღის დასასრულს გამოყოფილი იყო გარკვეული დრო მდუმარებისათვის.

კვირას, 19 მარტს, სულიერი ვარჯიშების დასას-

რულს, ეპისკოპოსმა წეროვანის მომლოცველთა სახლის სამლოცველოში აღავლინა საკვირაო წმ. წირვა და ქადაგებაში ხაზი გაუსვა იმდღევანდელი სახარების სიუჟეტს, რომლის მიხედვითაც იქსომ თვალზე ტალახის წასმით განკურნა დაბადებიდან უსინათლო ადამიანი. ეპისკოპოსმა, რომელმაც ისაუბრა მიწის, წყლისა და ზეცის კავშირზე, აღნიშნა, რომ ამ მოქმედებით ღმერთი განაგრძობს ადამიანის შექმნას; დაბადების წიგნის მიხედვით, ღმერთმა ადამიანი სწორედ მიწისან შექმნა.

სულიერი ვარჯიშების დასასრულს, მონაწილეებმა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და მომლოცველთა სახლის მმართველს, იოსებს, გადასცეს სიმბოლური საჩუქრები: ბზის ნერგები, რომლებიც მათ სახლის ეზოში დარგეს, როგორც ნიშანი სიცოცხლისა და სიმწვანისა. დამშვიდობებისას ეპისკოპოსმა ახალგაზრდები დაპატიჟა საკათედრო ტაძარში, ბზობის კვირის წირვაზე; მათ, ასევე, შეახსენა აპრილის დასაწყისში წეროვანის სახლში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ.

შოთა მიქომალი



## შეხვედრა ვათიპანის საელჩოში



22 მარტს ვატიკანის საელჩოში კათოლიკე ეკლესიასთან არსებული ინსტიტუციების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. წმიდა საყდრის დესპანთან, უზე აველინო ბეტენკურთან, სადესპანოს მრჩეველ ალექსანდრე რაჭინთან და ლათინ კათოლიკეთა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსთან ერთად, განხილული იყო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპები, ურთიერთკომუნიკაციის გზები; სამომავლოდ დაისახა ერთობლივი პერსპექტივები. შეხვედრა მიზნად ისახავდა კათოლიკური

ორგანიზაციების დაახლოებას ინფორმაციულობის გაზრდისა და ეკლესიის საქმიანობის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ: წმიდა საყდრის სადესპანოს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, „კარიტასის“, უურნალ „საბას“, „ინერ-ჯორჯიას“, „კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრისა“ და კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს - catholic.ge თანამშრომლები.

catholic.ge

## საქართველოში მოღვაწე პოლონელი მღვდლებისა და მონაზვნის დაჯილდოება

2023 წლის 22 მარტს, თბილისში, პოლონეთის საელჩოში, საქართველოში მცხოვრები პოლონელები პოლონეთის რესპუბლიკის პირველ ლედის, აგატა კორნპაუზერ-დუდას შეხვდნენ. შეხვედრაზე პოლონეთის სახელმწიფო ჯილდოები გადაეცათ იმ გამორჩეულ პოლონელებს, რომლებიც საქართველოში პოლონური თემისა და ადგილობრივი საზოგადოების განვითარებისთვის იღვნიან. ლირსების ოქროს ჯვრებით დაჯილდოვდნენ:

კათოლიკე მონაზონი ანა გრეტკირევიჩი და კათოლიკე მღვდლები, მამა მაჩერი მამაი და მამა ანჟეი გრაჩიკი. სასულიერო პირების გარდა, ლირსების ვერცხლის ჯვრები გადაეცათ საერო პირებს: ბეატა კარასსა და დანიელ ზატორსკის. პრეზიდენტ ანჟეი დუდას სახელით, დაჯილდოებულებს ორდენები პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის სახელმწიფო მდივანშა, ანჟეი დერამ გადასცა.

# ჩვენი ეკლესია



მამა ანუერი გრაჩიკი ამჟამად სოფელ არლის, უდის, აბასთუმნის, ბენარისა და უნწის სამრევლოების წინამდლვარია; მამა მაჩერი მამაი — თბილისში წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძრის წინამდლვარი; დედა ანა გრეტკერევიჩი, სალელთა კონგრეგაციის მონაზონი, თბილისში მუშაობს.

მსგავსი ჯილდო უკვე მიღებული აქვთ საქართველოში მოღვაწე პოლონელ მღვდლებს კამილიელთა ორდენიდან, ასევე, მონაზონებს წმიდა ელისაბედის დების ორდენიდან.

Catholic.ge

## შიათურის პათოლიკური ეკლესიის დღეობა

2013 წელს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ჭიათურის ტაძარი უფლის ხარების სახელზე აკურთხა. მას შემდეგ ზუსტად ათი წელი გავიდა და დღეს, 25 მარტს, მრევლმა, სასულიერო პირებთან ერთად, იუბილე იზეიმა. სადღესასწაულო ლიტურგია ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა.

„ჩვენი პატარა ეკლესია მუდამ სტუმართმოყვარეა. კათოლიკური სამრევლო ჭიათურაში მანამდეც არსებობდა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გვქონდა ევქარისტიისა და წმიდა საიდუმლოთა აღსასრულებელი ადგილი, სადაც ერთმანეთს შევხვდებოდით, ერთად გავიზრდებოდით რწმენაში, ერთად ვიგრძნობდით თავს უფლის სახლში“, — აღნიშნავს ჭიათურის საკურებულოს ერთ-ერთი წევრი.

catholic.ge



## უნივერსიტეტის პირველი ოცი წლის იუბილე



ვინ იფიქრებდა, რომ ადმინისტრაციის ათი წლის იუბილეზე გაიხსნებოდა ინსტიტუტი, შემდეგში უკვე უნივერსიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობდა თეოლოგიური განათლების განვითარებას საქართველოში; და ახლა, როცა ჩვენ უკვე აღვნიშნავთ ადმინისტრაციის 30 წლისთავს, უნივერსიტეტი ხვდება თავის 20 წლის იუბილეს, რასაც მრავალი ლონისძიება უკავშირდება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა უნივერსიტეტის მასწავლებლების, მეცნიერებისა და თანამშრომლების ვიზიტი რომის კურიაში, სადაც პაპმა მიიღო ისინი თავის პირად აუდიენციაზე.

დაბადების დღის აღნიშვნა უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა, რათა არ მივეჩვიოთ არსებობას, არ დავუშვათ, რომ მან ალარ გაგვაკერდოს, ყოველდღიური ცხოვრება ისე არ გაიტკეპნოს, რომ მარცვალი ვეღარ მოკვდეს მასში. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პირველი ოცი წლისთავი კოვიდს დაემთხვევა და ამიტომ ორი წლის დაგვიანებით შევძელით მისი ლირსეულად აღნიშვნა. ტორტიც, სანთლებიცა და ფეიერვერკიც ნამდვილად სულიერი, ყოვლად განსხვავებული და ამაღლებული გამოგვივიდა, ალბათ ისეთი, უნივერსიტეტის რომ შეეფერება - რომი და რომის ნამდვილი პატრონი და მასპინძელი წმ. პეტრე, ოდინდელი და დღევანდელი.

მარადიულ ქალაქზე არაერთი რამ თქმულა და დანერილა, თუმცა რომში მოხვედრილი ადამიანი - ყოველ შემთხვევაში ასეთი შეგრძნება მეუფლება ხოლმე ყოველთვის, როცა აქ ჩამოვდივარ - პირველ რიგში, თავს შინა გრძნობს. სხვაგვარად ვერც ექნებოდა რომს პრეტენზია სრულიად საქრისტიანოს,

მთელი კაცობრიობის გულობაზე. იმედი მაქვს, არავინ შემომედავება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ჯგუფმაც მსგავსი რამ განიცადა თებერვლის ამ რამდენიმე დღის განმავლობაში - შინ იგრძნოთავი.

ბაზილიკები, მუზეუმები, აღმართ-დაღმართი და მოედნები, სასიამოვნოდ თბილი დღები, ჩვენი თბანამემამულები, რომლებსაც უხვად შეხვდები იტალიის ქუჩებში, და საქართველოს საელჩო ვატიკანში, სადაც ქალბატონმა ქეთევან ბაგრატიონმა გულთბილად გვიმასპინძლა. სასიამოვნოდ და დამღლელად დატვირთული პროგრამის მწვერვალი იყო საგანგებო აუდიენცია პაპ ფრანცისკესთან, რომელმაც დაუვიწყარი წუთები გვაჩუქა თითოეულ ჩვენგანს. გაიხსნა თავისი ვიზიტი საქართველოში, თბილად მოიკითხა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს კულტურისა და ფილოლოგიის ცოდნით გულწრფელად გააკვირვა მსმენელნი. უპირველეს ყოვლისა კი, გვაგრძნობინა, რომ ვართ ერთი დიდი ოჯახის წევრები. ჩვენი უნივერსიტეტის დამფუძნებლის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს სათქმელი გულდასმით მოისმინა და მოგვმართა სიტყვით, რომელიც, მრავალთა შეფასებით, ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც თქმულა საქართველოზე.

20 წელი უკვე საკმარისი დროა იმისათვის, რომ უკან მოვიხედოთ და განვლილი გზა შევაფასოთ, რათა გზის გასაგრძელებლად ძალები და მხნეობა მოვიკრიბოთ. ამას კი სხვაგან სად შევძლებდით უკეთ, თუ არა პაპთან?

მ. პაპაკი შელიძე თი

## ეპისკოპოს პუზეთი პატომოს სიტყვა პაპ ფრანცისაც



თქვენო უწმიდესობავ, პაპო ფრანცისკე!

ვინ იფიქრებდა ამ ოცი წლის წინათ, რომ ის მცირე თეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც გაიხსნა იცდაათი სტუდენტისათვის, შემდგომში გახდებოდა უნივერსიტეტი? ვინ იფიქრებდა, რომ ის მცირე მარცვალი გაიზრდებოდა, გამრავლდებოდა და ათასამდე სტუდენტი გახდებოდა? ვინ იფიქრებდა, რომ დროთა განმავლობაში თეოლოგიას დაემატებოდა სამართალი, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ტურიზმი, საჯარო მმართველობა და ახლა უკვე მედიცინაც? ვინ იფიქრებდა, რომ ჯგუფი, სწორედ ეს ჯგუფი, წმიდაო მამავ, რომელიც წარმოადგენს მთელ საუნივერსიტეტო რეალობას, შეძლებდა მოსულიყო მიღებაზე აქ, თქვენთან, ვატიკანში?

არადა, ყოველივე ეს მოხდა, ესაა ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრება. შემიძლია ვთქვა, რომ ღმერთმა თავისი საქმე გააკეთა ამ წარმონებითაც. რომში ყოფნა ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. მშვენიერია, რომ ეს კათოლიკური უნივერსიტეტი აქ წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი თანამ-

შრომლითაც, რომლებიც იზიარებენ ჩვენთან ერთად სავალი გზის სიხარულსაც და გარჯასაც.

ესაა რეალობა, რომელსაც სურს კონკრეტული ხიდების შენება... დიახ, ხიდებისა და არა კედლების. ესაა რეალობა, რომელიც ყველა თავის მეცადინეობაში შუაგულში აყენებს ადამიანს, ღვთის შვილს, მის ღირსებასა და მის ყოველმხრივ განვითარებას. ესაა რეალობა, რომელსაც სურს, ამგვარად, თავმდაბლობით, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

დღეს ყველანი შევედით წმ. პეტრეს ბაზილიკაში და მოციქულის საფლავის წინაშე თითოეულმა ჩვენგანმა ვთქვით გულში: „მწამს“. დიახ, ჩვენი უნივერსიტეტი არის ის ადგილი, სადაც ყველას შეუძლია, სულ უფრო მეტი შეგნებით თქვას: „მწამს“.

თქვენო უწმიდესობავ, გთხოვთ გამხნევების სიტყვას და დალოცვას!

# მისი მამის, ფრანცისკეს მიმართვა თბილისის სულხან-საბა რობელიანის სახელობის უნივერსიტეტის დალეგაციის წევრებისადმი

კლემენტეს დარბაზი, ორშაბათი, 13 თებერვალი 2023

გამარჯობათ, ძვირფასო ძმანო და დანო!

მადლობას მოვახსენებ მონსინიორ პაზოტოს მისი სიტყვებისათვის - სევდიანად დაინტერესონი იყიქრებდა „... მოგონების სევდა... მადლობა! - და მივესალმები ყველა თქვენგანს - პროფესორმასნავლებლებს, სტუდენტებსა და მეგობრებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტისა, რომელსაც ახლახანს შეუსრულდა ოცი წელი. გილოცავთ! ახალგაზრდა - სულ ოცი წლის.

მადლობას მოვახსენებთ თქვენი ვიზიტისა და საქმიანობისათვის, რომელიც საუკეთესო მაგალითია თავდადებული კულტურული კვლევა-ძიებისა და იმ ფასდაუდებელი სიკეთისა, ახალგაზრდის აღზრდა რომ ჰქვია. განათლება სწორედ ამას გულისხმობს - ხელი შეუწყო ახალი თაობების ზრდას, ყველაზე ნაყოფიერი ფესვების აღმოჩენასა და მოვლას, რათა იხარონ და ნაყოფი გამოიღონ. ეს კარგად ეხმიანება თვით საქართველოს იდენტობასაც, ახალგაზრდა, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნისა, ზეცით კურთხეული მინისა, რომლის ბედნიერი მოგონებანიც მარად შემორჩა ჩემს ხსოვნას. მახსენდება პატრიარქი ილია - დიდი ადამიანი! როცა სევდა შემომაწვება, მის მუსიკას ვუსმენ, მის სიმღერებს და თავს უკეთ ვგრძნობ! ბრავო! - ღვთისკაცი, რომლის სახესაც ჩემს ლოცვებში ვატარებ და რომლის ძვირფას მუსიკალურ ქმნილებებსაც შთაგონებით ვუსმენ. გულში ვინახავ მასთან შეხვედრებს, განსაკუთრებით, საპატრიარქო ტაძარში, როცა ერთმანეთის გვერდით ვიდექით, ნიშნად ქრისტეს კვართისა, რომელიც სახარებაში აღწერილია, როგორც „არა ნაკერი, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი“ (იო 19, 23) და რომელიც გადმოცემისამებრ, ეკლესიის ერთიანობას, ქრისტეს სხეულს განასახიერებს. თქვენი უნივერსიტეტი ნათელი მაგალითია კათოლიკეებისა და მარ-

თლმადიდებლების ნაყოფიერი თანამშრომლობისა კულტურისა და განათლების სფეროებში. არ მავინდება ჩინებული ღვინო, პატრიარქმა იღიამ რომ გამასინჯა - მაგარი, მაგრამ ძალიან კარგი!

როგორც შევიტყვე, კეთილშობილ ქართულ ენაში ტერმინი „educazione“ („აღზრდა“) უღერს როგორც „განათლება“. ეს ძალზე საინტერესოა, რადგან მომდინარეობს სიტყვიდან „ნათელი“ და გულისხმობს უვიცობის წვდიადიდან ცოდნის სინათლისკენ სვლას. აღზრდა თქვენებურად ნათლისკენ მობრუნებაა, განათლების სინონიმია. ეს ძალზე ნიშანდობლივია - ბნელ ოთახში სანთლის ანთებას ჰგავს; არაფერი იქ არსებული არ იცვლება, მაგრამ ყოველი საგანი სხვაგვარად წარმოჩნდება. სწორედ ასეთია თქვენს უნივერსიტეტი მიღებული განათლება, რომელიც ყველაფრის შუაგულში ადამიანის პიროვნულ ღირსებას მოიაზრებს. მაშასადამე, სწავლისა და გულმოდგინების გზით შესაძლებელია შევიცნოთ საკუთარი თავი - ყვავთ ისაუთო - რისკენაც დელფოს ორაკული მოგვიწოდებდა. ეს რწმენისთვისაც მნიშვნელოვანია - აკი წერდა კიდეც ერთი წარსულში მოღვაწე ბერი: „გსურს შეიცნო ღმერთი? საკუთარი თავიდან დაიწყე“ (ევაგრიუს პონტოელი, სენტინციები, რომი 2020, 72).

ცოდნის ამგვარი კეთილმყოფელი გაცისკროვნება განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა



# საგანგებო ჩანართი

სმოფლიოს თავზე სიძუღვილის წყვდიადი ჩამოწვა, რომელიც, ხშირად, დავინწყებიდან და გულგრილობიდან იღებს სათავეს. დიახ, ხშირად სწორედ დავინწყება და გულგრილობა აბნელებს და განურჩეველს ხდის ყოველივეს ირგვლივ; ხოლო კულტურა და განათლება წარსულის ხსოვნას გვიპრუნებს და შუქს ჰქონებს ანმყოს. ეს აუცილებელია ახალგაზრდის და, საერთოდ, მთელი საზოგადოების ზრდისთვის. როგორც თქვენი სამშობლოს ერთ-ერთი მამა ამბობდა: „ერის დაცემა იწყება იქ, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა“ (ი. ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, გაზეთი „ივერია“, 1888). და პირიქით, ლვთის დახმარებით, „განათლებული ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია“ (იგივე, „მგზავრის წერილები“, სანქტა მარია დი კასტელაბატე, 2021). ქართული კულტურა მოგვიწოდებს ანთებული გვეპყრას განათლების ჩირალდანი და ლია გვქონდეს რწმენის სარკმელი, რადგან ორივენი გვინათებენ ცხოვრების ოთახებს. შემთხვევითი როდია, რომ ქართულ ენაში სიტყვა „ნათელი“ ფუქეა როგორც სიტყვისა „განათლება“, ასევე სიტყვისა „წათლობა“, რაც ერთმანეთთან ანათესავიდებს კულტურასა და რწმენას.

ძვირფასო მეგობრები, საქართველოს ისტო-  
რია აღსავსეა სიბნელიდან ნათელში გადასვლის  
ფაქტებით, რამეთუ თქვენი ქვეყანა ყოველთვის  
ახერხებდა ფეხზე წამოდგომასა და გაბრნებისას,  
მაშინაც კი როცა საუკუნეების მანძილზე გამუდმე-  
ბით ექცეოდა უცხოელი დამპყრობლების ბატონო-  
ბის ქვეშ. არ მავიწყდება ის მიწები, რომლებიც  
ჯერ კიდევ წართმეული გაქვთ. მუდამ ხალისიანი  
და მამაცი, სტუმრისა და სიცოცხლის მოყვარე  
ერი, ყველაზე შავბნელ პერიოდებშიც კი, სწორედ  
რჩმენისა და კულტურის წყალობით ინარჩუნებდა  
ოპტიმისტურ განწყობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვა-  
ნია როლი კათოლიკური ეკლესიისა, რომელმაც  
ფასდაუდებელი ლვანლი დასრო ქართველი ერის

კულტურასა და ისტორიას. თქვენ ამ ღვაწლის განმგრძელებლები ხართ და რა კარგია, რომ თქვენი ოპტიმისტური და კონსტრუქტიული განწყობით ასაზრდოებთ ქართულ მიწაზე კათოლიკური საკრებულოს მსახურებას, რათა იგი იქცეს იმ მარცვლად, რომელიც ყველასთვის გამოიღებს ნაყოფს. მოგიწოდებთ განაგრძოთ ეს მორჩილი და ძმური მსახურება. ვიცი, რომ უკვე არსებულ ფაკულტეტებს მედიცინის ფაკულტეტიც დაემატება, რომელსაც უამრავი სიკეთის მოგანა შეუძლია.

ეს როლი ქვეყნისა და ერისთვის სასიკეთო  
სივრცის შექმნისა და ხიდების გადებისა თვით  
თქვენი ინსტიტუტის სახელდებაშია მოცემული,  
ინსტიტუტისა, რომელიც გამოჩენილი ქართველი  
დიპლომატის, მაღალი კულტურისა და ფართო  
თვალსაწირის მქონე მოღვაწის, დიდი სულხან-  
საბა ორბელიანის სახელს ატარებს. ქართველები,  
ახალგაზრდებით დაწყებული, იმსახურებენ ფართო  
გზასა და შესაძლებლობებს. ამავე დროს, ტიპური  
ქართული ჰუმანიზმი, მისი განუმეორებლობითა  
და მიმზიდველობით, ლირსია საყოველთაო და-  
ფასებისა, თავისი ხელოვნებით, მუსიკით და სხვა  
გამოშსახველობითი ფორმებით, რომლებიც კიდევ  
უფრო გამდიდრდება სხვა კულტურებთან პატივ-  
ისცემით გამსჭვალული ურთიერთობის შედეგად.  
მაგალითის სახით, აქაც სინათლეს მოვიშველიებ,  
რომელიც იმისთვის კი არ არსებობს, რომ თვითონ  
გამოჩნდეს, არამედ იმისთვის რომ სხვას გაუნა-  
თოს ირგვლივ და მის იქით არსებული სივრცე.  
ასეა კულტურაც, რომელიც ახალ ჰორიზონტებს  
სხნის და საზოგადობს აზართობებს.

ამიტომაც, გისურვებთ იქცეთ „საამურ შუქად“ ახალგაზრდობისთვის და მადლობას მოგახსენებთ თქვენი საქმიანობისათვის. და კიდევ, გთხოვთ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებში. დიდი მადლობა!

გამოცემა იქნება




## საპასეკო სამდლეული

რას მოიაზრებს საპასექო სამდლეული? მარტინად რომ ვთქვათ, ეს არის სამი მნიშვნელოვანი დღე, რომელიც მთელი ლიტურგიული წლის ცენტრი და გულია. ანტიკურ ხანაში, გარდა საკვირაო პასექისა, ეკლესიაში დაიწყო წლიური პასექის აღნიშვნა, რაც, შესაბამისად, გახდა მთელი ლიტურგიული წლის მწვერვალი; წლის განმავლობაში აღნიშვნებოდა იესო ქრისტეს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ყოველივე ეს კი თავის აღსრულებასა და შეჯამებას ჰპოვებდა საპასექო სამდლეულში, რომელიც, მართალია, მიანიშნებს დღეთა რაოდენობაზე, მაგრამ ეს სამი დღე ლიტურგიულად აღნიშვნება, როგორც ერთი, მთლიანი, არსებითი მოვლენა: უფლის ვნება, სიკვდილი და აღდგომა.

დიდი სამდლეული იწყება ხუთშაბათს, მწუხრით (ებრაული ათვლით, სადღესასწაულო დღე იწყებოდა საღამოჟამს, მწუხრით) და მოიცავს ვნების პარასკევსა და დიდ შაბათს. რიტუალურად ამ აღნიშვნათა ერთობა კარგად ჩანს ლიტურგიაში, როცა დიდი ხუთშაბათის წირვა სრულდება არა ჩვეულებრივი დალოცვითა და გამომშვიდობებით („მშვიდობით წარვედით, წირვა აღსრულდა“), არამედ რჩება ღიად, დაუსრულებლად, საკურთხეველი განიძარცვება და ისადგურებს ლიტურგიული მდუმარება. ვნების პარასკევის ლიტურგიაც აღმვლენელის იატაკზე გართხმით, პირველის გამოსახვისა და მისალმების გარეშე იწყება, რაც ნიშნავს არა დაწყებას, არამედ წინა დღის ლიტურგიის გაგრძელებას. ასევე, დიდი პარასკევის ლიტურგიაც მთავრდება დუმილით, დამასრულებელი, ჩვეული სიტყვებისა და უესტების გარეშე. დიდი შაბათი კი, ზოგადად, აღიტურგიული დღეა, სრული დუმილის დღე, როდესაც არანაირი ლიტურგიური ქმედება არ აღესრულება, მხოლოდ გვიან, მწუხრისას, იწყება საპასექო ღამისთვევა.

რას აღნიშნავს, კონკრეტულად, დიდი სამდლეულის თითოეული დღე და რა ლიტურგიულ აღვლენას მოიცავს?

დიდ ხუთშაბათს აღნიშვნება უფლის ბოლო სერობის მოსაგონარი წირვა, ცოცხალი მოსაგონარი, რომელიც ხაზს უსვამს ორ ღიად საიდუმლოებას: ევეკარისტიასა და მღვდლობას, რაც იესო ქრისტემ თორმეტ მოციქულთან ერთად სერობისას დააფუძნა სიტყვითა და ქმედებით: „მიიღეთ და ჭამეთ“... „მიიღეთ და სკით“... „ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა“... ამ დღის ღვთისმსახურე-



ბაში, ასევე, აღესრულება ფერხთა ბანის რიტუალი, რაც ხაზს უსვამს ხსენებული დღის მესამე ელემენტს, ესაა ახალი მცნება - სიყვარულის მცნება, გამოხატული მოყვასისადმი ძმურ მსახურებაში. იესო ქრისტე აფუძნებს ევეკარისტიას, რომელიც თავისთავად ქმნის ეკლესიას, რომელშიც შედის კრებული და სასულიერო დასი; ისინი, თავის მხრივ, აღავლენენ ევეკარისტიას. ვზედავთ, თუ რაოდენ ძლიერი კავშირი და ერთობაა. ამავე საიდ-

# ლიტურგია ახა პაათა ეომოჟვილი



უმღლებაში იკვეთება თაყვანისცემა, რომელიც მხოლოდ უფალს ეკუთვნის.

ვნების პარასკევს, ლიტურგიული აღვლენის მეორე დღეს, როდესაც აღინიშნება უფლის ვნება და სიკვდილი, უფრო კენოზისური (ბერძ. Kénosis - „დაცარიელება“) ხასიათი აქვს. ამ დღის ლიტურგიული მსახურების ცენტრშია ჯვარი, რომლის მეშვეობითაც უფალმა გამოისყიდა კაცობრიობა და მას მიანიჭა მარადიული სიცოცხლე. მსახურება მოიცავს სიტყვას უფლის ვნების შესახებ, მორწმუნეთა ლოცვას, რომელიც თავის თავში მთელ სამყაროსა და მის საჭიროებებს აერთიანებს, ცენტრალური ნაწილი ეთმობა ჯვრის თაყვანისცემას, ბოლო ნაწილი კი - წმ. ზიარების განაწილებას.

დიდი შაბათი არის ღრმა დუმილისა და ლოც-

ვის უამი, რომელიც გვაერთიანებს მღლოცველ და მომღლოდინე მარიამთან. ამ დღეს ლიტურგია არ აღევლინება, თუმცა სიკვდილსა და სამარისებულ მდუმარებას არღვევს საპასექო ღამისთვა, წმ. ავგუსტინეს მიხედვით, „იგი არის დედა ყველა ღამისთვეისა“. ეს ლიტურგიაც იწყება პირვერის გამოსახვის გარეშე, რაც კვლავ მეტყველებს წინა დღეების გაგრძელებაზე.

საპასექო ღამისთვა იწყება ლამპრობის ლიტურგით. მას მოსდევს საპასექო სიხარულის უწყება, შემდგომ - სიტყვის ლიტურგიის გრძელი ფორმა (ცხრა საკითხავით) და ნათლისლებასთან დაკავშირებული რიტუალები; ბოლო ნაწილი კი, ჩვეულებრივ, ევქარისტიული ლიტურგიაა. ანტიკური დროიდან მოყოლებული, ქრისტიანული ინიციაცია მუდამ ამ ღამეს აღინიშნებოდა, რასაც წინ უძღვდა კათაკემევლობის გრძელი პერიოდი, და უკვე ნათელლებული მორწმუნები პირველად მონაწილეობდნენ ევქარისტიულ ლიტურგიაში სრულად და თავიდან ბოლომდე.

როგორც ვხედავთ, ეს სამი დღე წარმოადგენს ერთ ლიტურგიულ აღვლენასა და დღესასწაულს. შესაბამისად, მას მორწმუნის ცხოვრებაში სათანადო ადგილი უნდა ეკავოს, რათა განსაკუთრებით იგრძნოს და „იცხოვროს“ ნათლისლება, რომელიც სწორედ ამ სამ დღეზე გადანაწილებულ ერთ მთავარ მოვლენას აღნიშნავს: ვნებას, სიკვდილსა და აღდგომას.

გისურვებთ ნაყოფიერ საპასექო სამდღლეულს!



## ინტერვიუ პაპ ფრანცისკუსთან



**თქვენო უწმიდესობავ, ათი წლის წინ, 2013 წლის 13 მარტს, თქვენ რომის პაპად აგირჩიეს, როგორია თქვენი სულიერი წონასწორობა?**

წონასწორობას უფალი განსაზღვრავს, როცა მოესურვება და მათეს სახარების 25-ე თავში თავად გავიმსილა, თუ როგორ გააკეთებს ამას: „მშიოდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომინახულეთ, საპყრობილები ვიყავი და მომაკითხეთ...“. ეკლესია არ არის კომპანია, არც არასამთავრობო ორგანიზაცია და არც რომის პაპია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ვინც წლის ბოლოს ანგარიში უნდა ჩაბაროს. ეკლესია უფალს ეკუთვნის! ჩვენ, უბრალოდ, მოგვეთხოვება, მდაბალი გულით აღვასრულოთ მისი ნება. ეს შეიძლება ძალიან მარტივად შესასრულებელი ჩანდეს, მაგრამ ასე არ არის. ჩვენ უნდა ვიყოთ ჰარმონიაში უფალთან და არა მსოფლიოსთან.

**მას შემდეგ, რაც აგირჩიეს, გიფიქრიათ სამთავრობო პროგრამაზე?**

ხშირად მითიქრია იმ ფრაგმენტზე ქადაგებიდან, რომელიც ბენედიქტე XVI-მ წარმოთქვა თავისი პონტიფიკატის პირველ წირვაზე, 2005 წლის 24

აპრილს: „ამ ეტაპზე მე არ მჭირდება სამთავრობო პროგრამის წარდგენა, ჩემი ნამდვილი სამთავრობო პროგრამა მდგომარეობს არა იმაში, რომ აღვასრულო ჩემი ნება, განვახორციელო საკუთარი იდეები, არამედ იმაში, რომ მთელ ეკლესიასთან ერთად ვუსმინო უფლის სიტყვას, მის ნებას და მისით ვიხელმძღვანელო, ისე რომ, ის თავად წარუდღეს ეკლესიას ჩვენი ისტორიის ამ ჟამს“.

**თუმცა გენერალურმა კონგრეგაციებმა ახალ პაპს სიხოვეს რეფორმების პონტიფიკატი.**

მე ვმონაწილეობდი გენერალურ კონგრეგაციებში 2005 წელს, წმინდა იოანე პავლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, და 2013 წელს, ბენედიქტე XVI-ის გადადგომის შემდეგ. ეს იყო მადლისა და ზრდის ორი გამორჩეული დღე ყველა ჩვენგანისთვის, ორი მნიშვნელოვანი ფაქტი, რითაც საშუალება მოგვეცა ეკლესიის ჯანსაღ მდგომარეობაზე გვეფიქრა, კერძოდ, გასამკლავებელ პრობლემებზე. განხილულ იქნა ორი ძალიან განსხვავებული სცენარი. 2013 წლის გენერალურ კონგრეგაციაზე ყველამ, მათ შორის მეც, ძალზე კონკრეტული თხოვნით მივმართეთ მას, ვისაც აირჩევდნენ. პირადად მე ძალიან მშვიდად ვიყავი; მცირე, მაგრამ აუცილებელი სამოსით, თუნდაც იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც წმინდა იოანე პავლე II-მ კარდინალად დამნიშნა 2001 წლის კონსისტორიაზე, როდესაც ვა-



ტიკანში მივდიოდი, ყოველთვის ვტოვებდი რომში როგორც მოქარეულ, ასევე წითელ ანაფორას, ასე რომ, ყოველთვის არ ვატარებდი მოგზაურობის დროს. ჩემიდანი ჩავალაგე და ვფიქრობდი, რომ წმინდა კვირისთვის დროულად დავბრუნდებოდი ბუენოს-აირესში. მოხდა ისე, რომ უკან დასაბრუნებელი ბილეთი ჩემმა ძმა-კარდინალებმა დახიეს. ის, რაც მე ამ ათი წლის განმავლობაში გავაკეთე, სწორედ გენერალური კონგრეგაციების მოთხოვნის დაკონკრეტება იყო. კარდინალთა საბჭოს, რომელიც მნიშვნელოვან ორგანოდ გამოვაცხადე ჩემი არჩევიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, ეს ამოცანა ჰქონდა დავალებული. სინდიდური სამუშაო, რომელიც ნამდვილად მოუსმენდა მთელ ეკლესიას, და როცა ეკლესიაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ არა მხოლოდ სამღვდელოებას, რომლებიც 1 პროცენტი ვართ, არამედ საერო პირებს, რომლებიც ეკლესიის 99%-ს შეადგენენ. ამას მე კი არ ვამბობ, არამედ ვატიკანის II მსოფლიო კრება აცხადებს თავის დეკრეტში „*Apostolicam actuositatem*“ საეროთა მოციქულობის შესახებ. ეს 1965 წლის დოკუმენტია, მაგრამ ძალზე აქტუალური და კარგი იქნებოდა, წარითხათ სამრევლოებში.

**ამრიგად, რეფორმების პონტიფიკატი რომის კურიიდან დაიწყო?**

ეს იყო ყველაზე შრომატევადი სამუშაო, რითაც ყველაზე მეტად დაკავდა კარდინალთა საბჭო. ერთი წლის წინ, 2022 წლის 19 მარტს, გამოქვეყნდა რომის კურიის შესახებ სამოციქულო კონსტიტუცია „*Praedicate Evangelium*“. ის წმიდა იოსებს, საყოველთაო ეკლესიის მფარველ წმიდანს მივანდე, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ 2013 წლის 19 მარტს აღევლინა წმიდა პეტრეს მოედანზე ჩემი პონტიფიკატის პირველი წირვა. რომის კურიის რეფორმა უკვე მესამედ განხორციელდა ვატიკანის II კრების შემდეგ: რეფორმა გაატარა წმიდა ბავლე VI-მ, 1967 წელს, და წმიდა იოანე პავლე II-მ, 1988

წელს. ეს მართლაც კოლეგიალური სამუშაო იყო.

**თუმცა ამ ათი წლის განმავლობაში არც გულისტყენის ნაკლებობა ყოფილა.**

მოსვენება არ დამიკარგავს. ხანდახან ვკითხულობ სრულიად გამოგონილ რეკონსტრუქციებს. საქმე ბევრად უფრო მარტივადაა, ვიდრე გარედან ჩანს. სასიამოვნოა, რომ ძმებს ჰყოფნით გამბედაობა, ერთმანეთს პირში უთხრან სიმართლე და არ აყვნენ ჭორებს, რაც კლავს, ნებისმიერ რამეს კლავს. იესოს პირველი მოწაფებიც კი ერთნაირად არ უურებდნენ ეკლე-

სიას და ისინი იყვნენ თორმეტნი, მცირე ჯგუფი. ეკლესია არ არის ორგესტრი, სადაც ყველა ერთ პატიას ასრულებს, აქ ყველა თავის პარტიტურას მიყენება და სწორედ ეს ქმნის პარმონიას. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ ერთიანობას, რაც არ ნიშნავს ერთგვაროვნებას. ჩვენ ძმები ვართ! გაბედულად უნდა გამოვხატოთ ჩვენი იდეები, გაბედულად უნდა ვუთხრათ სიმართლე პირში, მაგრამ შემდეგ ისევ ერთი მაგიდის გარშემო უნდა შევიკრიბოთ.


### **ყველაზე მეტად რამ გატკინათ გული?**

კორუფციამ. მე არ ვსაუბრობ მხოლოდ ვატიკანის შიგნით და გარეთ არსებულ ეკონომიკურ კორუფციაზე, მე ვსაუბრობ გულის კორუფციაზე. კორუფცია სკანდალია. 2015 წელს ნეაპოლში ვთქვი, რომ სუნი ასდის, დიახ, სუნი ასდის. კორუფცია სულს ხრნის. ჩვენ უნდა განვასხვავოთ ცოდვა კორუფციისგან. ჩვენ, ყველანი, ცოდვილები ვართ! თუნდაც პაპი, რომელიც ყოველ ორ კვირაში აღსარებას ამბობს, მაგრამ ცოდვიდან არ უნდა გადავიდეთ კორუფციაში. არასოდეს! ეკლესიაში, ისევე როგორც პოლიტიკაში და, ზოგადად, საზოგადოებაში, ყოველთვის უნდა დავდგეთ კორუფციის სერიოზული საფრთხის სადარაჯოზე. კორუფციონის ძალიან უჭირს უკან დაბრუნება: ქრთამი დღეს, ქრთამი ხვალ. ამიტომაც არიან მაფიოზები განკვეთილნი ეკლესიიდან: მათ ხელები სისხლიან ფულში აქვთ გასვრილი. ისინი იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესს ეწევიან, კლავენ ახალგაზრდებს და საზოგადოებას, კლავენ მომავალს. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს: ეკლესიაში მაფიოზის ადგილი არ არის! ნეტარი პინო პულიზი და როზარიო ლივატინო მაფიას არ გაურიგდნენ და ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

## წმიდა ფრანცისკე ასიზელი და პორტიული

განუმეორებელია იტალიის ბუნების სილამაზე, ლაშვარდოვანი ცით და მოვარდისფრო მზის ჩასვლით, სილამაზე ქალაქების, განსაკუთრებით ტაძრების, რომლებიც გვანცვიფრებენ ანტიკური სამყაროს ხუროთმოძღვართა არქიტექტურული გადაწყვეტილების უნიკალურობით. მე წილად მხვდა ბედნიერება, ვწვეოდი ლეგენდარული წმიდანის, ფრანცისკეს სამშობლოს - ასიზის და მომენახულებინა IV საუკუნეში აგებული პატარა ეკლესია პორტიულულა (იტალ. portiuncula - „მიწის მცირე ნაწილი“), ანგელოზთა წმიდა მარიამისადმი მიძღვნილი პირველი სამლოცველო. დიდი ხნის განმავლობაში ის მიტოვებული იყო სახელმწიფოს მიერ, მაგრამ IX-X საუკუნებში ბენედიქტელმა ბერებმა გადააკეთეს მოქმედ სამლოცველოდ, შემდეგ კი, 1209 წელს, საჩუქრად გადასცეს წმ. ფრანცისკეს მისი ქრისტიანული მოწოდების აღსასრულებლად, როგორც რელიგიური ცხოვრების ცენტრი.

წმ. ფრანცისკე (1182-1226) დაიბადა ასიზიში, მდიდარ ოჯახში; მან დათმო მდიდრული ცხოვრების ფუფუნება ქრისტესთან ცხოვრების სანაცვლოდ. სულიერად ამაღლებული და უსასრულოდ ერთგული ღვთისა, ყოველი ცოცხალი არსების მოყვარული, ყველაფერს უკავშირებდა ღმერთს; ცხოველებსა და ზეციურ სხეულებს ისე მიმართავდა, როგორც ძმებს: „ძმაო ირემო, ძმაო მზეო, ძმაო მგელო“. მან დააარსა ღარიბი მოხეტიალე ბერების, უმცროსი ძმების ფრანცისკელთა ორდენი. მდიდართა შემოწირულობის წყალობით, წმ. ფრანცისკემ შეძლო აეგო პორტიულულა. როგორც წყაროები მოწმობენ, სწორედ აქ, უფლისადმი ლოცვისას, მან იხილვა ანგელოზებით გარშემორტყმული ქრისტე და ღვთისმშობელი, რომელთაც ჰკითხეს, თუ რას სთხოვდა იგი მათ; წმ. ფრანცისკემ ითხოვა შენდობა ყველა ცოდვილისა, ვინც მოინანია, თავისთვის კი არაფერი, გარდა სულისა. ერთ ღამეს, ეჭვებითა და ცდუნებებით გატანჯული, ბაღში შევარდა და ჩაეფლო ბუჩქებში, რომელიც უფალმა მისი სიყვარულისა და რწმენის გამო უეკლო ვარდებად აქცია. ასეთივე ვარდები ახლაც ხარობს ამ პატარა ბაღში. აქ, სიკვდილის სარეცელზე, 1226 წლის 3 ოქტომბერს, 44 წლის ასაკში წმ. ფრანცისკემ უკანასკნელად აკურთხა ძმები და დასავით მიიღო სიკვდილი. ძმებს კი სთხოვა, სასიხარულო ქება ეგალობათ უფლისადმი. ამ ადგილას, კედელზე ასახულია ბოლო სტროფი მისი საგალობლიდან „ძმა მზეს“. აქვე მიაბარეს ლოცვით



მიწას მისი შიშველი სხეული... შიდა კედლებზე, ჯოვანი სპანიას ფრესკებზე გამოსახულნი არიან წმ. ფრანცისკეს ადრეული პერიოდის ძმები. ადგილი, სადაც მისი ქოხი მდებარეობდა, სადაც წმიდანი ჩნდებოდა, დაახლოებით 1260 წელს გარდაიქმნა სამლოცველოდ წმ. ბონავენტურას მიერ, ხოლო მოქმედ სამლოცველოდ 1440 წელს წმ. ბერნარდინო სიენელის მიერ. კედელზე, წმიდანის ქანდაკების გვერდით, გამოსახულია ლოცვა, ხოლო ამბიონი დგას იმ ადგილას, საიდანაც იგი ქადაგებდა.

პორტიულულა, ანგელოზთა წმიდა მარიამის პაპის ბაზილიკა, არაერთხელ იქნა შეკეთებული სხვადასხვა წლებში. პაპ პიუს V-ის (1566—1572) ბრძანებით, დაანგრიეს შენობები, რომლებიც თანდათანობით დაემატა სალოცავს, გარდა იმ საკისა, სადაც წმიდა ფრანცისკე გარდაიცვალა, და ააგეს თანამედროვე სტილის დიდი ბაზილიკა, პერუჯელი არქიტექტორის ალესი გალეაცოს პროექტის მიხედვით, უამრავი მომლოცველის დახმარებით. აქ არის მუზეუმი, წმ. ფრანცისკეს საფლავი, მონასტერი და ყველა მტკიცებულება, რაც დაკავშირებულია მის ცხოვრებასთან, მის ნამუშევრებთან და მოღვაწეობასთან. ბაზილიკა შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთს გუმბათის მეშვეობით უკავშირდება. სტრუქტურა მარტივია, ჭერი თეთრი, სიდიადეზე მიუთითებს ღვთისმშობლის მაღალი, მოოქროვილი, თითქმის რვამეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება. ეს არის ადგილი ინდულგენციის, ლოცვის, მონაიებისა და შენდობისა.

ნეტარი ლუიჯი და მარია კვატროკები დაქორწინებული იყვნენ და ოთხი შვილი ჰყავდათ. ისინი არ გამოირჩეოდნენ რაიმე არაჩეულებრივი თვისებებით, არ იყვნენ უცხოელი მისიონერები ან მოწამეები, მათ არ დაუარსებიათ მოძრაობა, რომელიც შეცვლიდა სამყაროს. ლუიჯი და მარია იყვნენ უბრალოდ წმინდა ადამიანები, რომლებიც სიწმინდით ზრდიდნენ შვილებს. პაპ იოანე პავლე მეორის სიტყვით, ისინი ცხოვრობდნენ „ჩვეულებრივი ცხოვრებით, მაგრამ არა ჩვეულებრივად“.



ნეტარი ლუიჯი და მარია კვატროკები დაქორწინებული იყვნენ და ოთხი შვილი ჰყავდათ. ისინი არ გამოირჩეოდნენ რაიმე არაჩეულებრივი თვისებებით, არ იყვნენ უცხოელი მისიონერები ან მოწამეები, მათ არ დაუარსებიათ მოძრაობა, რომელიც შეცვლიდა სამყაროს. ლუიჯი და მარია იყვნენ უბრალოდ წმინდა ადამიანები, რომლებიც სიწმინდით ზრდიდნენ შვილებს. პაპ იოანე პავლე მეორის სიტყვით, ისინი ცხოვრობდნენ „ჩვეულებრივი ცხოვრებით, მაგრამ არა ჩვეულებრივად“.

ლუიჯი (1880-1951) სწავლობდა სამართალს და გახდა საჯარო მოხელე. იგი კარგი ადამიანი იყო, თუმცა ახალგაზრდობაში არ გამოირჩეოდა კათოლიკობისადმი განსაკუთრებული ერთგულებით. მარია (1884-1965), რომელსაც საკმაოდ მკაფრი მშობლები ზრდიდნენ, პირიქით, ღვთისმოსავი იყო.

ლუიჯიმ და მარიამ ერთმანეთი ახალგაზრდობაში გაიცნეს და დამეგობრდნენ. ერთხელ ლუიჯი ავად გახდა და სწორედ მაშინ გააცნობიერა მარიამ, რომ უყვარდა იგი. მალე ისინი შეუდგნენ საქორწინო სამზადისს და 1905 წლის 25 ნოემბერს დაქორწინდნენ. მეტისმეტად შეყვარებული მრავალი წყვილის მსგავსად, მათაც მალევე შეეძინათ შვილები. ქორწინების მეოთხე წლისთავზე მარია უკვე მესა-

მე ბავშვის დაბადებას ელოდა დღე-დღეზე, მისი უფროსი შვილი ამ დროს სამი წლის იყო. ლუიჯი და მარია გახსნილი იყვნენ ახალი სიცოცხლისადმი, მაგრამ ეს გახსნილობა არ წიშნავდა იმას, რომ მორიგეონობის შესახებ ცნობამ მათში ულუბლო სიხარული გამოიწვია. კერძოდ, მარიასთვის ყოველი ორსულობა არაერთგვაროვანი ემოციებით იყო სავსე. უწინარესად, ეს იყო შიში და სასოწარკვეთილებაც კი. „ვინ მომცემს ძალას, ვიფიქრო ორ შვილზე? - სწერდა იგი მეუღლეს, - გავუძლო ორსულობისგან გამოწვეულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გამოფიტვას და სხვა დანარჩენს?“

„ყველაფერს ვამჯობინებ მორიგ ფეხმძიმობას, - წერდა იგი სხვა წერილში, - როგორ უნდა ვიზრუნო ორ ბავშვზე იმ სახელმწიფოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ?“ წარმოუდგენლად დამამშვიდებელია იმის ცოდნა, რომ ემოციები არ არის ცოდვა, და რომ წმიდანებსაც კი, შესაძლოა, გარკვეული დრო დასჭირდათ მოულოდნელ ორსულობასთან შესაგუებლად. მიუხედავად მარიას განცდებისა, უფალი საოცრად მოქმედებდა ცოლ-ქმრის ცხოვრებაში. თუმცა ლუიჯი ადრე გულგრილი იყო თავისი რწმენის მიმართ, მარიასთან ურთიერთობამ მასაც შთააგონა სიწმინდისაკენ მისწრაფება. ისინი

ყოველდღე მონაწილეობდნენ წმიდა წირვაში, ერთად ლოცულობდნენ სავარდს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საკუთარი თავის მსხვერპლად გალებაში. ამავე დროს, მეუღლეები ხმაურიან და აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ, დადიოდნენ სალაშეროდ, სეირნობდნენ ზღვის სანაპიროზე. მარია წერდა სტატიებსა და წიგნებს განათლების, დედობისა და ოჯახური ცხოვრების შესახებ. ასევე, იგი უძღვებოდა შეხვედრებს ქალთა ჯგუფებისათვის, მოსიყვარულე მეუღლე რომ წაეხალისებინა.

მათი ცხოვრება საკმაოდ იდილიური იყო მარიას მეოთხე ფეხმიმობამდე. 1913 წელს მას დაუსვეს დიაგნოზი „*placenta praevia*“ - პლაცენტის მდებარეობის ანომალია; ექიმების ვარაუდით დედაშვილის გადარჩენის ალბათობა იყო არაუმეტეს 5%-ისა, ამიტომ ქალს აპორტის გაკეთება შესთავაზეს. კვატროკების ოჯახისთვის ასეთი ნაბიჯი გამორიცხული იყო. ამიტომ მათ ყოველივე თავიანთ მოსიყვარულე მაცხოვარს მიანდეს. ორსულობის მერვე თვეს მეტად დასუსტებულმა მარიამ, ლვთის მადლით, ჯანმრთელი გოგონა, პატარა ენრიკეტა გააჩინა. ამ რთული პერიოდის შემდეგ მეუღლეებმა ჩვეულებრივ განაგრძეს ცხოვრება. ქორწინების 46 წლის განმავლობაში ლუიჯი და მარია მუშაობდნენ სხვადასხვა კათოლიკურ ჯგუფთან. მარია წითელი ჯვრის მედდად მსახურებდა ეთიოპიაში, შემდეგ კი რომში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ პერიოდში მეუღლეები თავისთან იფარებდნენ ლტოლვილებს და ფარულად გაჰყავდათ ებრაელები ქალაქიდან.

კვატროკების ორივე ვაჟი გახდა მღვდელი, ხოლო მათი უფროსი ქალიშვილი - მონაზონი. მოსალოდნელი იყო, რომ წმინდა წმინდა წყვილი აღფრთოვანებული

იქნებოდა მათი არჩევანით, მაგრამ კვატროკებმა მაინც გამოიჩინეს ადამიანური სისუსტე. როგორც არ უნდა სდომოდათ, რომ მათი შვილები ლვთის ნებას მიჰყოლოდნენ და მხარი დაეჭირათ მათვის ამაში, ისინი მაინც მტკივნეულად განიცდიდნენ, შვილებს რომ კარგავდნენ. ენრიკეტა იხსენებდა: „ჯერ კიდევ ვზედავ მუხლმოდრეული მამის ჩუმ ცრემლებს, როცა ჩვენი და სამონაზვნო ჰაბიტით შეიმოსა“. თუმცა გული გაუტყდა, ლუიჯიმ თქვა „დიახ“. ასევე განაცხადეს თანხმობა მან და მარიამ, როდესაც 20 წლის ქორწინების შემდეგ უბინოების აღთქმა დადეს. ეს იყო უესტი, რომელიც გამოხატავდა მათ სურვილს, მსხვერპლად გაელოთ ყოველივე თავიანთი უფლის სიყვარულისთვის.

არაფერი იყო განსაკუთრებული მათ რწმენაში, არაფერი, რასაც საგანგებო ყურადღება უნდა მიეცეს. ლუიჯის დაკრძალვის დღეს, მისმა მეგობარმა, რომელიც იყო ათეისტი და მასონი, კვატროკების ვაჟებს უთხრა: „მამათქვენი არასდროს მაპეზრებდა თავს ქადაგებებით, მაგრამ მინდა გითხრათ: „მისი ცხოვრების შემყურებ, მე აღმოვაჩინე ღმერთი და მიყვარს სახარება. ილოცეთ ჩემთვის!“

ეს არის ლუიჯი და მარია კვატროკების ცხოვრების გზავნილი: სილამაზის, სიყვარულისა და მსხვერპლგალების მცირე მომენტებით ალსავსე ცხოვრება, ყველაზე ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ დიდებით მოცული.

კათოლიკე ეკლესია პატივს მიაგებს ნეტარი ლუიჯი და მარია კვატროკების ხსოვნას 25 წოებერს, მათი ქორწინების წლისთავზე. ჩვენს ლოცვებში მათ შეიძლება ვთხოვოთ შუამავლობა დაქორწინებულ წყვილთათვის, რათა ჩვენი ოჯახები ასევე უკიდურესად ერთგული იყვნენ ქრისტესი.



## მზა ბედნიერებისაკენ - „ქალთა მოწოდების სილამაზე“

თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია გადავდგათ ახალი ნაბიჯი სიახლისკენ, მივიღოთ საინტერესო ინფორმაცია, გავიზიარდოთ სულიერად. სწორედ ამიტომ, 24-26 თებერვალს, სალელი დების მონასტერში გაიმართა შეხვედრა გოგონებისთვის 15-დან 27 წლამდე. შეხვედრის მიზანი იყო ფორმაციული, მედიტაციური ხასიათის, ყოველი დღე ინყებოდა და მთავრდებოდა ლოცვით, რაც კიდევ უფრო ნაყოფიერს ხდიდა ჩვენს ერთად ყოფნას. ჯვრის გზამ თითოეული მონაწილის გული აავსო მადლით და, ამავდროულად, სევდით, რადგან ამ ლამაზმა მომენტმა გაგვახსენა უკრაინაში იმის ერთი, მძიმე წელი.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ეხებოდა ყოველი ადამიანის განსხვავებულობასა და უნიკალურობას; ჩვენ უნდა მივიღოთ საკუთარი თავი ისეთებად, როგორებიც ვართ. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს: „ამ დღეებმა უფრო მაგრძნობინა, რომ ჩემი უნიკალურობის, განსხვავებულობის მიღება უნდა შემეძლოს, რათა მეტად შევიყვარო საკუთარი თავი, რაც განსაკუთრებით დამაახლოებს ჩემს სულიერ „მე“-სთან.“ შეხვედრაზე განვიხილეთ მეტად აქტუალური საკითხი, რომელიც ეხებოდა განსხვავებას უნიკალურობასა და ნარცისიზმს, განსხვავებულობასა და ეგოიზმს შორის.

თითოეული დღე სავსე იყო სიახლით, გამოწევებით, საინტერესო საუბრებით, თემა-

ტური აქტივობებით. ყველასთვის მნიშვნელოვანი იყო მოგვესმინა „მოწოდების ისტორია კონგრეგაციართველომდე“ და გაგვეზიარებინა და უორუეტის გამოცდილება; გვქონდა დრო განმარტოების, ფიქრისა და ანალიზისთვის. საინტერესო და სასიამოვნოდ დამლელი იყო თავგადასავალი ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. ერთ-ერთმა აქტივობამ გვაჩვენა, რამდენად რთული, საინტერესო და განსაკუთრებული მომენტია, უმზირო სხვადასხვა ადამიანს თვალებში, მაშინ როცა არცეკი იცი მის მიერ განვლილი გზა. ამ აქტივობისას კონცენტრაცია უნდა მომეხდინა მათ მზრაზე; ჩემდა გასაკვირად, ზოგთან მარტივი იყო ეს პროცესი, ზოგთან კი - ძალიან რთული, მივხვდი, რომ გამოთქმა - „თვალი სულის სარკეა“ ჭეშმარიტია.

შეხვედრის დროს განვიხილეთ, რას ნიშნავს სინდისის გამოცდა, რას გრძნობს ამ დროს ადამიანი. ჩვენ უნდა ვთხოვოთ უფალს, შეგვაძლებინოს, შეხედოთ ჩვენს ცხოვრებას მისი თვალით, ვიყოთ მადლიერნი, გადავხედოთ ჩვენს განვლილ დღეს, ვითხოვოთ პატიება და მივიღოთ გადაწყვეტილება.

შეხვედრები თემაზე - „ქალთა მოწოდების სილამაზე“, რომელიც დაიწყო 25-27 ნოემბერს, კვლავ გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. მჯერა, რომ ეს კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდის თითოეული ახალგაზრდის ცხოვრებას.




# კათოლიკური კულინარია ვერიპა მოზაგ

## სააღდგომო დასერტები

აღდგომა ქრისტიანულ ტრადიციაში იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულია. რადგან ქრისტეს აღდგომა ებრაული პასექის დღესასწაულზე მოხდა, თავდაპირველად აღმოსავლური ეკლესიები ქრისტიანულ აღდგომას აღნიშნავდნენ იუდეველთა კალენდრის მიხედვით, ნისანის გაზაფხულის თვის მე-14 დღეს, კვირის რომელი დღეც მოუწევდა.

**სააღდგომო კრავი (agnello pasquale)** - სააღდგომო დესერტი სიცილიის სამხრეთ დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ფავარადან. ტრადიციის თანახმად, ეს სააღდგომო დესერტი გამოიგონეს ფავარას მონასტრის Collegio di Maria მონაზვნებმა. ზეპირი რეცეპტი პირველად 1898 წელს დაფიქსირდა წერილობით. 1997 წლიდან ფავარაში იმართება ფესტივალი - „სააღდგომო კრავის



საგრა“ (იტალ. Sagra - ადგილობრივი პროდუქტის ფესტივალი იტალიის ქალაქებში).

სიცილიაში სააღდგომოდ მარციპანისაგან ამზადებენ ნაირფერი კანფეტებით დამშვენებულ მწვანე მდელოზე დანოლილი კრავის პატარა ფიგურებს, რომელსაც პიკურედი (picureddi) ეწოდება. ბატყანი, ჩვეულებრივ, მორთულია წითელ-ოქროსფერი აღდგომის დროშით.

**კასატა (cassata) - სიცილიური**



სააღდგომო მთავარი დესერტი. ის შედგება „მარასკინოს“ (Maraschino - მარასკას ჯიშის ალუბლის ლიქიორი) ან „მანდარინოს“ (მანდარინის ლიქიორი) ლიქიორით გაულენთილი ნუშის ცომისაგან, ცხვრის ხაჭოსგან, დაშაქული ხილისა და შაქრის მინანქრისგან. ეს ყველაფერი რიკოტას (ricotta - იტალიური შრატის ყველი), შოკოლადისა და ვანილის ნალებითაა შეზავებული. Cassata-ს აქვს ტრადიციული იტალიური საკვები პროდუქტის (PAT) სტატუსი.

**პინცა ტრიესტინა (pinza triestina) — სააღდგომო დესერტი**



რომის ეკლესიაში კი აღდგომა აღინიშნებოდა კვირადღეს. ის ფაქტი, რომ ეს უკვე რომის ეკლესის ფესვგადგმული ტრადიცია იყო, დაფიქსირებულია წყაროებში, დაწყებული ანიკეტუსის პონტიფიკატიდან, ანუ II საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სააღდგომოდ, ისევე როგორც საშობაოდ, დესერტების ყველაზე მეტი სახეობა იტალიელებმა გამოიგონეს.


იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებიდან: გორიცია და ტრიესტი. ფორმით მოგვაგონებს კაიზერის ფუნთუშას, რაც გასაგებია, რადგან ეს ტერიტორია ოდესლაც შედიოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში, რომელსაც მართავდა კაიზერი - იმპერატორი. ეს მეტად უბრალო დესერტია, შეზავებული ფუნთუშა შიგთავსის გარეშე. პინცა ტრიესტინას ინგრედიენტებია: ფქვილი, შაქარი, ნალების კარაქი, კვერცხი, საკონდიტორ საფუარი, ლიმონის ცედრა.

**კუდურა (cuddura) - სიცილი-**



ური სააღდგომო დესერტი, გვრცელებულია სამხრეთ იტალიაში. მას აქვს ტრადიციული იტალიური საკვები პროდუქტის სტატუსი (PAT). ტერმინი მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან კოლურა (kollura), რაც ნიშნავს „გვირგვინს“, მას მართლაც, ჩვეულებრივ, გვირგვინის ფორმა აქვს. ცომში ასევე ათავსებენ სააღდგომო კვერცხს.

## სამი საცერი



ერთი კაცი მივიღა სოკრატესთან და ჰქითხა:

- იცი, რა თქვა შენზე შენმა მეგობარმა?
- მოიცადე, - გააჩერა ის სოკრატემ, - ჯერ ის, რაც უნდა თქვა, სამ საცერში გაატარე.
- სამ საცერში?
- ვიდრე რამეს იტყვი, ის სამჯერ უნდა გაცრა. ჯერ სიმართლის საცერში. დარწმუნებული ხარ, რომ ეს სიმართლეა?
- არა, მეც სხვისგან გავიგე.
- ე.ი. შენ არ იცი, ეს სიმართლეა თუ არა. მაშინ მეორე საცერში გაატარე - სიკეთის საცერში. შენ ჩემს მეგობარზე რამე კარგი უნდა მითხრა?
- არა, პირიქით.
- ესე იგი, - გააგრძელა სოკრატემ, - შენ გინდა მითხრა რაღაც ცუდი და თან დარწმუნებული არ ხარ იმაში, რომ ეს სიმართლეა. მესამე საცერიც გამოვიყენოთ - სარგებლობის საცერი. ჩემთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რის მოყოლასაც აპირებ?
- არა, ამის აუცილებლობა არ არის.
- ამრიგად, - დაასკვნა სოკრატემ, - იმაში, რისი თქმაც შენ გინდა, არც სიმართლეა, არც სიკეთე და არც სარგებელი. მაშინ რატომ უნდა მითხრა?

## სამადლობელი წერილი

ძალიან დიდ მადლობას ვუხდი გორის „წმიდა ოჯახის“ კათოლიკურ ეკლესიაში მომსახურე კამილიელ დედებს: დედა კორინა და დედა ანსა; ტაძრის წინამძღვარს, მამა დარიუშს და მამა მერაბს, ასევე სამრევლოს ყველა წევრს თანადგომისა და დახმარებისათვის, ჩემი ქალიშვილის, მაკა ნოზაძის ავადმყოფობისა და მისი გარდაცვალების დროსაც რომ გამოიჩინეს. ისინი ყოველთვის მხარში მედგნენ, მეხმარებოდნენ როგორც სულიერად, ისე ფინანსურად. განსაკუთრებით დედა კორინა ცდილობდა ჩემი შვილის გადარჩენას, დაჰყავდა სხვადასხვა კლინიკაში გამოსაკვლევად, რათა დაედგინათ სწორი დიაგნოზი; თავად უკეთებდა გადასხმებს, ყიდულობდა ექიმების მიერ დანიშნულ ძვირად ღირებულ საჭირო მედიკამენტებს, რომლის შეძენის საშუალება მე არ მქონდა. მაგრამ, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად,



სასწრაფო ოპერაციის დროს, ჩემი შვილი მაკა გარდაიცვალა. დღესაც მხარში მიდგას ყველა, მამხნევებენ და ყოველნაირად ცდილობენ შემიმსუბუქონ მწუხარება; უსაზღვროდ მადლიერი ვარ მათი. ღმერთმა დალოცოს თითოეული, ვინც ლოცულობდა და ახლაც ლოცულობს ჩემი შვილის სულისთვის.

## მანაცხადებები

5-7 მაისს სალელი დების მონასტერში გაიმართება შეხვედრა გოგონებისთვის 15-დან 27 წლამდე. შეხვედრა იქნება ფორმაციული ხასიათის, ლოცვით, მედიტაციით და მრავალი საინტერესო მომენტით სავსე.

მსურველებს ვთხოვთ, 30 აპრილამდე მიმართონ და ვერონიკას; ტელ: +995 551544571

6-7 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უმასპინძლებს VI საერთაშორისო სიმპოზიუმს: „კათოლიკური მეკულტურული მუზეუმის მონაცემებისა და მონაცემების მიღების ბოლო ვადა;

კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური, იტალიური;  
მნიშვნელოვანი თარიღები:

2023 წლის 22 აპრილი - სიმპოზიუმში მონაცემებისათვის განაცხადის მიღების ბოლო ვადა;

2023 წლის 27 მაისი - სტატიების გადმოგზავნის ბოლო ვადა.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: [www.sabauni.edu.ge](http://www.sabauni.edu.ge)  
კითხვების შემთხვევაში, მოგვწერეთ; [conference@sabauni.edu.ge](mailto:conference@sabauni.edu.ge)

ჟურნალ „საბას“ რედაქცია ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ულოცავს  
აღდგომის პრეცენტაციებისა და დღისასწაული!



## ძმა დემეტრე

მოხსენიების დღე –  
9 აპრილი

## განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



ანდრი თავარავილი  
\* 14. 09. 1947, ახალციხე  
† 22. 02. 2023, ახალციხე



დოფი გაზამილი  
\* 01. 02. 1937, ვარგავი  
† 07. 02. 2023, ქუთაისი



თავარა მურადავილი  
\* 04. 04. 1936, ახალციხა  
† 27. 02. 2023, ხიჭაბავრა



მარა ლოზაძე  
\* 12. 06. 1977, გორი  
† 24. 02. 2023, გორი



ნინო გავევიჩ-ალიჩიძე  
\* 16. 05. 1942, ქუთაისი  
† 02. 02. 2023, ქუთაისი



გარია აფრიაშვილი-  
ხითარიშვილი  
\* 11. 02. 1933, არალი  
† 17. 03. 2023, ვალე



ସାହା